სახალხო გაზეთი

№ 1058 სამშაბათი, 3 დეკემბერი 1913 წ. № 1058

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სამი-ოთხ 4 სათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოდდანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთ თვით მხოლოდ დიდი წერილები და ლოთხრობები. პირადად ძოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 25 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 8. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12—29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი დეკემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარეთ ღირს 75 კაპ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

საზამთრო ახალი კლუბი თეატრი

სამშაბათს, 3 დეკემბერს,

საოჯახო საღამო

წარმოდგენილ იქნება ქართ. დრამატ. დასის რეჟისორის ვალ. შალიკაშვილის ახალი სამ-მოქმედებიანი პიესა:

უპრეტენზიო კომედია.

პარტერში შესვლა უფასოა. გალერეია 10—30 კ.-დე. კლუბში შესასვლელ ფასად სტუმრები იხდიან კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდენტი 25 კ.

დასაწყ. საღამოს 8-ნახევარ ს. 1568

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან. ნ. კუნდუროვის ადგილზე

დღეს, 3 დეკემბერს, 1913 წ.

დიდი არისტოკრატიული წარმოდგენა

დღისით დაიწყება 2 საათზე,

მე-4 დღე მსოფლიო ფალავანდთა ფრანგული ჭიდაობისა.

დღეს ჭიდაობენ: გადამწყვეტი ლავრენოვი და საბატიე; ვახტუროვი და სოლოვიოვი; სედიხი და ურსა.

848 დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა.

გორის პირველი კერძო

სამკურნალო

ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)

განყოფილებებით.

კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ხანგურიძისა.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.

გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:

კობერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.

წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.

მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.

ბრიუკნერი ვ. გ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფოყოველ დღე 12—1 ს.-დე.

გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს.-დე.

რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.

ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.

სამკურნალოს ამ ცოტა ხანში ექნება მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორიას. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი. **წამლობა „606", „914".** 1604

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქხენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფიდოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. გ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **მერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულბ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1 **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფიდოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ. სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოლევი გ ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი**

გალა-წარმოდგენა

ხუთშაბათს, 5 დეკემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ **ქ-ნ ნინო ჩხეიძისა** და **ბ-ნ ვ. აბაშიძის** მონაწილეობით წარმოდგ. იქნება:

სიმართლე, დრამა 4 მოქ. ნ. შიუკაშვილისა.

II) **რაც არ მერგება, არ შემერგება,** ვოდ. 1 მ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, პიერეტა, ჩერქეზიშვილი, ჩხეიძე, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, ბარველი, გუნია, ზარდალიშვილი, მესხი, საფაროვი, შანშიაშვილი, ურუშაძე, სანელი, შალიკაშვილი.

დასაწყ. სწორედ საღამოს 8 ს. ◆ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **ვლ. შალიკაშვილი.**

მზადდება წარმოსადგ.: დამარცხებული რომი, სინათლე, ახალი მოძღვრება, დონ კარლოსი, მარიამ სტუარტი, ჰამლეტი და სხ.

შემდეგი ბენეფისი მ. ჩდივანისა 12 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნება „ახალი მოძღვრება". ადმ. ქართ. დრამ. საზ. 1617

ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

ოთხშაბათს, 4 დეკემბერს, 1913 წ. ქართულ სახ. წარმ. მმართ. წრის მიერ მსახიობთ **ქ-ნ ნ. გამრეკელი-ტორელისა, ბ. ვ. შალიკაშვილისა** და **ა. იმედაშვილის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

მაღაროს უფროსი მუშა, დრამ. 1 მოქ. გერბედონისა, თარგმ. ნ. გოცირიძისა.

II) **აშენდა საქართველო,**

(სცენ. სტუდენტების ცხოვრებიდან 3 მოქ. კ. ფოცხვერაშვილის).

მანუჩარის როლს შეასრულებს ვ. შალიკაშვილი, ივანიკას—ვ. ურუშაძე.

მონაწ. მიიღებენ: ქ-ნნი გამრეკელი-ტორელი, რომანიშვილისა, ბ-ნნი: არშაკუნი, გოცირიძე, ალ. იმედაშვილი, ივერელი, ა. კავსაძე, ა. მეტრეველი, ვ. ნინიძე, ს. რომანიშვილი, მინდიაშვილი, ზ. ტოგონიძე, ვ. ურუშაძე, ვ. შალიკაშვილი, ალ. წუწუნავა, ნ. ქუმბურელი, ქ. ხახანაშვილი.

წუნავა. ◆ ადგილების ფასი ნ—50 კ. **დასაწყ. საღ. 8 ს.**

რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** თანაშ. **ალ. გუგუშვილი.** „წრის" ადმინისტ.

ბავშვების შეშვება და ფარდის აწევის შემდეგ თეატრის დარბაზში შესვლა აკრძალულია. 1486

„ახალი კლუბის" მამასახლისთა საბჭო

აცხადებს კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა საყურადღებოდ, რომ **უკანასკნელ ვადად 1914 წლისათვის საწევრო ბილეთების განახლებისა დანიშნულია ამა წლის 20 დეკემბერი.** ვინც თავის დროზე საწევრო ბილეთებს არ განაახლებს, ჰკარგავს კლუბში უფასოდ შესვლის უფლებას 1914 წლის 1 იანვრიდან.

საწევრო ფულების გადახდა და ბილეთების განახლება შეიძლება კლუბის კანტორაში ყოველ-დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 9 საათიდან ღამის 12 საათამდე. 1585

გამოვიდა და ისყიდება ნოტებზე გადაღებული ლექსი.

გენაცვალე

ი. სარაჯიშვილის და **ი. გრიშაშვილის** სურათებით. ფასი 25 კაპ.

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:

წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:

ქართ. ცხოვრება მარიამ დედ. ვარ. 3 მ. —
საქართ. ისტორია ვახუშტისა 2 „ —
„ „ ბაქრაძისა 1 „ —
„ „ ბროსესი 1-ლი — „ 70 კ.
„ „ „ 2-ე — „ 70 „
თაყაიშვილი ექვთ. Опис. рукописей О-ва распр. гр. ср. гр. нас.
— т 1 вып. 1 1 „ —
— „ 1 „ 2 1 „ —
— „ 1 „ 3 — „ 75 კ.
— „ 1 „ 4 — „ 75 „
— „ 2 „ 1 — „ 75 „
— „ 2 „ 2 1 „ —
— „ 2 „ 3 1 „ —
— „ 2 „ 4 1 „ —
— Сигелъ груз. царя Баграта 4 . . . . — „ 30 „
— Источники груз. лѣтописей 1 „ —
— Хроника Эристовскаго Акафиста . . . . — „ 10 „
— Еще одинъ изъ источниковъ исторiи Грузiи . . — „ 30 „
— Разборъ армаздской надписи по фотографическому списку . . — „ 10 „
— Матерiалы для истор. Грузiи 30 „
— Канчаетскiй „Жам - гуланъ и историческiя приписки его Кинѣлосы . . — „ 15 „
— სიზმარი ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლისა . . — „ 15 „

ახალი წიგნები:

ისტორიული საბუთები 3-ე ს. კაკაბაძე 85 კ.
მცენარენი და ცხოველები ცხელი ქვეყნისა ა. ჭიჭინაძესი . . 35 კ.

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1917

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1478

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა ბ. მეჯრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა. ხელოვნური პნევმოტარაქსი. რენტგენის ელვასებური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 6—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **საწულებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

ქ. გორში

ექიმი (დოქტორანტი). **მ. დ. წინამძღვრიშვილი**

ყოფილი. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

ექიმი გ. მ. ღოღობერიძე

ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 2—3 საათამდე. საბებიო, ქალის და შინაგანი ავადმყოფობანი. სლეპცოვის შესახვევი № 3. 1524

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის რეაქციით** იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ. ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ბოჟოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ.. და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

შაბაშ-ი, სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

გრიგორიანი. ქირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.

ახპიხოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3½ 4 ს.

ბტენიანცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

ი. ბ. ბუდნოვსკი ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კოლომკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. ითხელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკევ და კვირ. 11—12 ს.

გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ. 4—5 ს.

ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძების მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვი. ყოვ. დღე, კვირის გარდა. ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ითხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით 1462

საზურთალოზე

მშვენიერ ადაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

ექიმი პ. ლ. ქიქალიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

დოქტორი მედიცინისა

გ. ა. ახვერდოვი,

პეტერბურგის სიფილისისა და ვენერიულ ავადმყოფობათა კლინიკის ყოფილი ორდინატორი, იღებს საშარდის, ვენერიულსა და სიფილისიან ავადმყ. დილ. 10—11 ს., სად. 6—8 **სემიონოვის ქ.,** № 18, (ვორონცოვის ძეგლის მახლობ.), ექიმ. ბინა—სემიონ. ქ., № 16. 115

დოქტორი

ჩ. ო. უკლადნიკოვი

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა მიიღებს კვირა დღის გარდა დილის 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე. ოლღას ქ. № 22. ტელეფონი № 12—25. 751

ექიმი მეიფარიანი

იღებს შინაგანი, ბავშვისა და ვენერიულ ავადმყოფებს. დილის 9—12 ს. და საღამოს 5—7 საათ **ქუთაისი,** ტფილისის ქ., საკუთარი სახლი, № 30,

ტელეფონი № 150. 1855

ექიმ ლ. ლ. გოცირიძის სამკურნალო ქალ. ბაქოში

მუდმივ საწოლებით:

სულით-ავადმყოფებისა, ავზნიანებისა და ლოთებისათვის.

ფასი მორიგებით.

ადრესი: Баку, магазинная, № 50. 1608

ექიმი მღვდელი **ს. ა. ლეჟავა**

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, **ტელ. 16—57.** 779

ექიმი ვ. მ-ძე მანსვეტაშვილი

გადავიდა ახალ სახლში. ოლღას ქუჩა, სახ. მელიქ-აზარიანცისა, № 3. შინაგანი, ძარღვების და ბავშების ავადმყოფობათა. იღებს 10—12 დილით, 6—7 საღამოთი ტელეფონი № 16—02. 707

ექიმი შ. ა. მიქელაძე

15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

ქართული პრესა

ამ რამდენიმე **ხნის** წინად სახელმწიფო საბჭოში ირჩეოდა საკითხი—მიეცეს თუ არა პოლონელებს უფლება პოლონეთის საქალაქო თვითმმართველობაში პოლონურ ენის ხმარებისა. ჩვენ აღვნიშნეთ ის გარემოება, რომ სახელმწიფო საბჭოს რეაქციონურმა ნაწილმა უარჰყო კანონ-პროექტი და ამით პოლონელებს მოუსპო საშუალება პოლონურ ენის ხმარებისა პოლონეთის საქალაქო თვითმმართველობაში. ჩვენ მხოლოდ ამის თაობაზე ვწერდით. საზოგადოდ, საქალაქო დებულების შესახებ კრიტიკა არ დაგვიძრავს. მაგრამ გაზეთი „სიტყვა", რომელსაც თავის მოვალეობად მიაჩნია ჩვენს წინააღმდეგ წავიდეს, თუნდაც ამის სრულიად არავითარი საბუთი არა ჰქონდეს, ასე გვიპასუხებს:

> „ჩვენი „ტრუდოვიკების" გაზეთი კი გადმომდგარა და ამ რეაქციონურ ჩმახვას სასარგებლო რეფორმად აღიარებს".

ჩვენ დიდი ხანია ვიცით, რომ „სიტყვის" პუბლიცისტებისთანა ხალხისთვის დიდი ხანია „ჩმახვათ" გადაიქცა ყველაფერი, რაც კი ცოტათი მაინც აუმჯობესებს ეროვნულ ცხოვრებას. რად უნდა ჩაითვალოს „ჩმახვად" სურვილი პოლონურ საქალაქო თვითმმართველობებში პოლონურ ენის გამეფებისა,—ეს ისეთი საიდუმლოებაა, რომლის გაგებაც მხოლოდ პურიშკევიჩსა და მარკოვს შეუძლიანთ. აკი ასეც მოჰხდა. ტყუილად კი არ ვამბობდით, რომ ჩვენი დასელები რუსის შოვინისტების პოლიტიკური მეზობლები არიან.

ვინ იყო პოლონელების ამ კანონიერ მოთხოვნილების წინააღმდეგ? პეტერბურგში პურიშკევიჩები და

მარკოვები, აქ კი—გაზეთი „სიტყვა“. შეიძლება ადამიანი წინაამდეგი იყოს იმ კანონ-პროექტისა, რომელიც პოლონეთში საქალაქო თვითმმართველობათა შემოღებას შეეხება, მაგრამ—როგორ შეიძლება ამ მოსაზრების ძალით რეაქციონურად გამოაცხადოთ თვით პრინციპი პოლონეთის ქალაქებში პოლონურ ენის ხმარებისა? ამისთანა რამე მხოლოდ შავ-რაზმელს შეუძლიან.

ადგილობრივი პრესა პოლიტეხნიკუმის ბედის შესახებ

პოლიტეხნიკუმის ბედს მთელი ადგილობრივი პრესა, თუ ზოგიერთ გაზეთებს არ მივიღებთ მხედველობაში, იმ გაზეთებს, რომელთაც თავიანთ ხელობად სოლოლაკელ შოვინისტების დამქაშობა გაუხდიათ, ერთნაირად შეხვდა. სხვა და სხვანაირად ასაბუთებენ თავიანთ აზრს, მაგრამ მაინც ყველა სწერს, რომ უპირატესობა მიეცა ნათლუღს და არა საბურთალოს, რომელიც თავისი მდებარეობით გაცილებით უკეთესია. გაზეთი „ფიქრი“ ამის გამო სწერს:

ბევრი გააკვირვა როგორც რეზოლიუციის ასეთმა კილომ, ისე საკითხის არსებითად გარდაწყვეტამ. ჩვენი აზრით კი აქ საკვირველი არაფერია. რუსეთში ყოველგვარი დაწესებულება,—კულტურულია იგი თუ არა,—მთავრობას თავისი პოლიტიკის საწარმოებელ მანქანად აქვს გარდაქცეული. კავკასიის პოლიტეხნიკუმიც მთავრობისათვის თავდა-პირველად პოლიტიკის საწარმოებელი იარაღია.

რუსეთის პოლიტიკა მოითხოვდა მთავრობის უმაღლესი წარმომადგენელი ჩვენში მოქცეულიყო ისე, როგორც მოიქცა გრაფი ნამესტნიკი, ესე იგი, უპირატესობა ნავთლუღისათვის მიეცა, თუმცა ყველასათვის, ვისაც კი შემთხვევა ჰქონია საქმეს დაახლოვებით გასცნობოდა, ცხადია, რომ საბურთალო პოლიტეხნიკუმისათვის ნავთლუღს ბევრითა სჯობია.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ სასიძო ლამაზსა და მდიდარს სასძლოს სტოვებს და უპირატესობას ანიჭებს გონჯს, მაგრამ ძლიერი მშობლების ქალს, რადგანაც ძლიერთა დამოყვრება მისთვის უფრო ხელსაყრელი და სასარგებლოა.

პოლიტიკის მწარმოებელიც ასე იქცევა უმეტეს შემთხვევაში და, რა გასაკვირველია, თუ მეფის მოადგილეც ასე მოიქცა.

შეიძლება საბურთალო ნავთლუღს ათას წილადაც სჯობდეს პოლიტეხნიკუმისათვის, მაგრამ აქ საქმე პოლიტეხნიკუმის ინტერესებში როდია. საქმე ის არის, თუ რომელი ადგილის პატრონი უფრო ძლიერია, რომლის გულის მოგება უფრო სასარგებლოა მთავრობისათვის.

სომხის ბურჟუაზიის გულის მოგება,—განაგრძობს „ფიქრი“,—მთავრობისთვის იმ მხრითაც არის ხელსაყრელი, რომ ამ ბურჟუაზიის გულის მოგებას თან მოჰყვება გულის მოგება სომხის ხალხის დიდი უმეტესობისა, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით შორს არის პოლიტიკური სიმწიფისაგან, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ გაუგია თავისი სოციალური ინტერესები, ვერ გამსჭვალულა კლასობრივი შეგნებით და სომხის ბურჟუაზიას თავის მხსნელად აღიარებს.

ადგილობრივი სომხის ბურჟუაზიის გულის მოგებას საგარეო პოლიტიკაც უდევს სარჩულად. რადგანაც ამას თან მოსდევს ოსმალეთის, სპარსეთის და სხვა გარეშე სახელმწიფოებში დასახლებულ სომხის ბურჟუაზიის გულის მოგებაც.

ქართველ პუბლიცისტებს ჯერაც ვერ გაუგია მიზეზი იმ გარემოებისა, რომ ამ უკანასკნელ წლებში კავკასიის უმაღლესი მთავრობა უფრო თავაზიანად ეპყრობა სომხის ბურჟუაზიას, ვიდრე ქართველ თავად-აზნაურობას. აქ საკვირველი არაფერია. ეს, პირიქით, ძალიან ადვილი მისახვედრიც არის, მთავრობას თავის დასაყრდნობად, თავისი ძლიერების განსამტკიცებლად ეძებს რეალურ ძალას. ასეთი რეალური ძალა დღეს ჩვენში სომხის ბურჟუაზიაა და მთავრობაც მას ეფერება, ულოლიავებს, მასთან კავშირის განმტკიცებას ცდილობს“.

⁂

გაზეთი „თემი“ ამავე საკითხის შესახებ სწერს:

„დიაღ! დღე, როდესაც საბოლოოდ გადაწყდა პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში აშენდესო, დიადაც ისტორიული დღეა; მაგრამ იმიტომ კი არა, როგორც ამბობს „თბ. ლისტოკში“ ბ. არშაკ ბაბოვი, რომელიც თავის თავს ჭეშმარიტ დემოკრატს უწოდებს და რომელიც მეორე მისივე სახის ჭეშმარიტ დემოკრატ მიხ. ჯაპართან ერთად არ ერიდება კანოსაში მისვლას, არამედ იმიტომ, რომ ეხლანდელმა ქალაქის თვითმართველობამ ყოველივე დონე, საკადრისი და არა საკადრისი, იღონა ოღონდ კი თეთრი შავად მოეჩვენებინა და შავი თეთრად. ეს არის პირდაპირ ქალაქის დემოკრატიის ღალატი ჩვენ არასოდეს არ დავუჭერდით მხარს საბურთალოს, მით უფრო, იქ იყვნენ, სხვათა შორის, ქართველი მემამულენიც, რომ მას არ არ ჰქონოდა ობიექტიური უპირატესობა ნავთლუღთან შედარებით.

ქალაქის საქმეების ახლანდელმა მმართველებმა ვერ დასძლიეს თავიანთი ვიწრო შეხედულება, ვიწრო თავიანთ უბნის ინტერესები, ვერ მოახერხეს მომავლის ჭეშმარიტის თვალით განსჭვრეტა და მხარი დაუჭირეს ისეთ ხრიოკ ადგილს, რომელიც პირდაპირ დაასამარებს დიდებულ საქმეს. ტყუილად კი არ არის იმ ადგილს გამართული მრავალი სასაფლაო და საყასბო.

გამოირკვა ყველასათვის, რომ საბურთალოს ბუნებრივი პირობები უკეთესია ნავთლუღისაზე და აი მერე გამოძებნეს რაღაც „ფინანსიური მოსაზრებანი“, რომელნიც ვითომდა საკითხს სწყვეტდნენ ნავთლუღის სასარგებლოდ. ეს „ფინანსიური მოსაზრენი“ კი ეხებოდა წყლის გაყვანას და ტრამვაის გაკეთებას საბურთალოზე. ეს „ზედმეტ ხარჯად“ მიაჩნდათ, თითქო შეუჩერებელი ბუნებრივი ზრდა ქალაქისა სოფ. დიღმისკენ არ აიძულებს ისედაც ეხლანდელ თვითმმართველობას—ამ ბურჟუაზიულ წესწყობილების უბადრუკ ნაშობს—ეს კანონიერი მოთხოვნილება ამ განაკიდე მხარისა უპოლიტეხნიკუმოდაც დააკმაყოფილოს სულ მოკლე ხანში.

მიივიწყეს, რომ ცუდ ფინანსიურ პირობების შეცვლა კარგზე ადვილია,—ეს ჩვენ ხელთ არის; ცუდ ბუნებრივ პირობების გაუმჯობესება კი შეუძლებელია იმიტომ, რომ ჩვენ არავინ გვკითხავს.

აი, ქალაქის საქმეების მესვეურებმა ასე დააყენეს სწორედ საკითხი!..

ზემომოყვანილმა რეზოლიუციამ კი ხელი შეუწყო უსამართლობის გამარჯვებას სამართლიანობაზე... მომავალი უფრო სასტიკ მსჯავრს დასდებს ასეთ გადაწყვეტილებას“...

⁂

ჟურნალი „კლდე“ სწერს?

„27 გიორგობისთვე ჭეშმარიტად ისტორიული დღეა. ამ დღეს გამოქვეყნდა მეფის მოადგილის რეზოლუცია ტფილისის პოლიტეხნიკუმის შესახებ. თვით შინაარსი რეზოლუციისა ფრიად სადაა და მისი გაგება დიდი თავის მტვრევას არ გამოიწვევს. მეფის მოადგილე მიემხრო ნავთლუღს და ამიერიდან ტფილისი, აშკარაა, „იძულებული“ იქმნება განვითარდეს ნავთლუღის მხარეს. ვამბობთ —„იძულებული“, რადგან კომისიის მოხსენება, რომელსაც დაემყარა უმთავრესად მეფის მოადგილე, იმ აზრისა არის, რომ ტფილისის განვითარება ნავთლუღისკენ ყოვლად შეუძლებელია. რეზოლუციიდან ნათლად სჩანს, რამ მისცა ვითომდა საბაბი მეფის მოადგილეს, რომ მან ნავთლუღი არჩია საბურთალოს. ეს გახლავთ ფინანსიური მხარე საკითხისა, რომლის ძალითაც პოლიტეხნიკუმის ნავთლუღში აშენება შედარებით იაფი ჯდება, ვიდრე საბურთალოზედ. სხვა დანარჩენი უპირატესობა საბურთალოსი ცნობილია თვით კომისის მიერ. მაგრამ საკითხის გადაწყვეტის დროს მნიშვნელობა, ჩვენის აზრით, სწორედ ფინანსიურ ანგარიშებს არ უნდა მისცემოდა. პოლიტეხნიკუმის საკითხში, როგორც ყოველ საამშენებლო საქმეში, ფინანსიური ანგარიში **გარდამავალი** ელემენტია: საკმაოა პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში აშენდეს და ფინანსიური უპირატესობა ნავთლუღის ვარიანტისა სამუდამოდ იკარგება. იბადება საკითხი: სხვა რომელი უპირატესობა **შერჩება** მაშინ ნავთლუღის პოლიტეხნიკუმს? კომისია ფიქრობს, რომ არც ერთი. თუ მართლა ასეა, და თუ მართლა საბურთალოს ვარიანტს არა ჰქონდა ის ფინანსიური უპირატესობა, რომელიც აქვს ნავთლუღს, მაშინ მეფის მოადგილე უნდა ცდილიყო მოეწყო სწორედ ფინანსიური უპირატესობა საბურთალოსი.

⁂

გაზ. „ზაკავკაზიე“.

„ჯერ ვერ მოვასწარით ჩვენს კეთილი მეზობელ-სოლოლაკელებისათვის მიგველოცნა ის ბრწყინვალე გამარჯვება, რომელიც წილად ხვდათ ტფილისის საპოლიტეხნიკუმო ადგილის არჩევანში, როგორც ვიცით საბურთალოსა და ნავთლუღის ღირსებათა გამოკვლევას პირველხანად უმაღლეს სასწავლებლის ინტერესები ედვა სარჩულად, ბოლოს და ბოლოს კი ეს საკითხი ქართველების წინააღმდეგ საბრძოლველ ნიადაგზე გადაიტანეს“.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს საპოლიტეხნიკუმო ადგილის ძებნის ისტორიას და დასძენს:

„მართალია, ეს გამარჯვება არ არის სამართლიანობის გამარჯვება. და მის მისაღწევად „პატივცემულ“ სოლოლაკელებს დასჭირდათ ყოველი მათთვის ჩვეული იარაღის ხმარება. არ გამოაკლეს აგრეთვე სასწორზე ყალბი გირების დადებაც. ყველა ეს ასეა. მაგრამ ეხლანდელ დროში ვის ეპრიანება „რაღაც სამართლიანობაზე“ ზრუნვა, ზრუნვა ისეთ ცნებაზე, რომელსაც არავითარი გასავალი არ აქვს ეხლა, და ამიტომაც კარგი ხანია წაშლილია გახუნებულ დროშაზე, რომელიც სოლოლაკის შოვინისტებმა ასეთ გამომწვევ ჟინით აფრიალეს მათ შემფარებელ საქართველოს უძველეს დედა-ქალაქზე.

მაშ, პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში იქნება... დიახ, ნავთლუღში, პირველის გვერდით, აღმართული იქნება მეორე სასაფლაო, სადაც მუდამ იდგება კვნესა მასში დამარხულ სამართლიანობისა. და ეს კვნესა შეერევა იმ წყევლა-კრულვას, რომლის შესახებაც წინასწარმეტყველობს გენერალ-ლეიტენანტი გაბაშვილი“.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ილია ჭავჭავაძის სახლის გამოსასყიდლად** გუშინ რამდენიმე საათის განმავლობაში 1500 მანეთზე მეტი შეგროვდა. სულ სახლის გამოსასყიდად ამ ხანად 6,000 მანეთია საჭირო.

◆ **მგოსანს სანდრო შანშიაშვილს**, რომელიც ამ ჟამად ლაიპციგის უნივერსიტეტში სწავლობს დაუწერია ახალი დრამატიული პოემა გიორგი სააკაძის ცხოვრებიდან, „**უგვირგვინო**“.

◆ „ახალ კლუბის“ საბჭოში აღიძრა საკითხი, რომ ქართულ თეატრში, კვირა დილაობით მუშათათვის წარმოდგენების მართვა „ახალმა კლუბმა“ იკისროს. ჰფიქრობენ საკმაო თანხის გადადების, რათა დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ და ფილარმონიულმა საზოგადოებამ მოაწყოს მუშათათვის შესაფერი დილები.

◆ **ხარფუხის საზოგადო კლუბის** შენობა უკვე მზად არის. შენობის კურთხევა დანიშნულია 8 ნოემბრისათვის.

◆ **ფრენა.** კვირას, 1 დეკემბერს, ნაშუადღევს, დიდუბის საჯირითო მოედნის იქით მშვენივრად იფრინა ტფილისში ახლად ჩამოსულმა მფრინავმა ი. სედოვმა. ერთხელ ბ-ნმა სედოვმა აეროპლანში ჩაისვა მგზავრი ქ-ნი ფირალოვისა და მეტად მოხდენილად და ხანგრძლივად იფრინა.

◆ **ქალაქის სამხედრო საკრებულომ** თავის უკანასკნელ კრებაზე კიდევ ორი ახალგაზრდა ჩარიცხა სამხედრო სამსახურში. მასაღებია კიდევ 74 კაცი.

◆ მეტეხის ციხიდან ახლად განთავისუფლებულს **იოსებ იმედაშვილს** აკრძალული ჰქონდა ტფილისში ცხოვრება. იგი ორი დღის შემდეგ ს. ხაშმში უნდა წასულიყო. ეხლა, როგორც გავიგეთ, ბ. იმედაშვილს ნება დართეს ტფილისში ცხოვრებისა გუბერნატორის ახალ განკარგულებამდე.

◆ **საღამო ტფილ. სას. სემინარიაში.** 1 დეკემბერს ტფილისის სასულიერო სემინარიაში გამართულ იყო ტრადიციული საღამო. საღამო შესდგებოდა სამ განყოფილებისაგან და აქ ჩვეულებრივად რუსული სჭარბობდა. იყო სიმღერები, დეკლამაცია, ვოდევილები, სიმებიანი ორკესტრი და სხ. მეექვსე კლასის მოწაფემ ვანო ბიწკინაშვილმა ძალიან ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება თავისი მშვენიერი, ტკბილი სიმღერით. მშვენიერი ხმის მიმოქცევა, თუ გნებავთ წმინდა ქართულიც, საამო სასმენელად ჰქმნის მის სიმღერას, ხმა ჯერ შეუმუშავებელი აქვს, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის არ ჩაიკლავს ამ ნიჭს, და ერთ-ერთ დამამშვენებლად მოევლინება მშობლიურ სცენას. კარგი იყო მოწაფე გავაშელაშვილიც. მასაც შესწევს მომღერლის ნიჭი და ალღო. ორივენი მღეროდნენ მხოლოდ ქართულ რომანსებს. მოწაფე გორგაძემაც გრძნობიერად წაიკითხა თავისი ლექსები. დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

სასურველი იყო, მეტი წესიერება ყოფილიყო დაცული შესავალ კარებთან.

◆ დეპეშათა სააგენტოს ცნობით **ბაქოში ნავთის მრეწველთა** სხდომები დაიწყო.

◆ **ტფ. გუბერნატორი ა. გ. ჩერნიავსკი** 1 დეკემბერს პეტერბურგს გაემგზავრა.

◆ **პოლიტეხნიკუმის გარშემო.** მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის წევრებს უკვე დაურიგდათ მომავალ პოლიტეხნიკუმის დებულებისა და მის შენობის პროექტები. მთელ ამ მასალას კომიტეტი ამ დღეებში განიხილავს და მოკლე ხანშივე სახელმწიფო სათათბიროს გაუგზავნის განსახილველად.

30 ნოემბერს ქალაქის გამგეობის სადგომში მთავარ საპოლიტეხნიკო კომისიის წევრებისა, ქალაქის საბჭოს ხმოსნების და მიწვეულ პირთა კერძო თათბირი მოხდა. ითათბირეს იმის თაობაზე, როგორ აქციონ ფულად საპოლიტეხნიკუმო ადგილში გასასყიდად გადადებული 150 დესეტინა მიწა. თათბირმა სასურველად აღიარა, რომ ეს მიწა ახლავ დაგირავებულ იქმნეს რომელიმე ბანკში და აღებული ფული საპოლიტეხნიკუმო თანხას მიუმატოს. იმ პირთ, რომელთაც მიწის ყიდვა სურთ, ნება ექნებათ, როცა უნდათ მაშინ გამოისყიდოს მიწა ბანკისაგან. ამავ თათბირმა საჭიროდ აღიარა, საპოლიტეხნიკუმო ადგილი ახლავე გამშვენიერებული იყოს. ზემო ხსენებულ მოსაზრებათა განსახორციელებლად არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელშიაც შედიან: ქალაქის გამგეობის ყველა წევრი, ა. ბაბოვი, ს. ნუნუფაროვი, გაგალუსტიანი, მაზმანოვი, არამიანცი, მელიქოვი, სვეშნიკოვი, ტიგრანოვი, მიტკევიჩი და ენფიანჯიანცი.

საპოლიტეხნიკუმო ადგილში მიწის ყიდვის სურვილი გუშინ ქალაქის გამგეობას 500 კაცმა განუცხადა. ზოგი მათგანი ერთისა, ორის და სამის დესეტინის ყიდვის მსურველია.

საზოგადოებანი და კრებები

◆ **ქვრივ-ობოლთა დამხმარე საზოგადოების** საგანგებო კრება დანიშნულია 5 დეკემბრისათვის საღამოს 8 საათზე რუსულ კლუბის სადგომში. კრებამ უნდა განიხილოს საკითხი საზოგადოების წესდების შეცვლის შესახებ. წესდება შეცვლილ იქნება იმგვარად, რომ საზოგადოების წევრად ჩაწერის ნება არა რუსთაც მიეცეს.

◆ **მიწის მზომელთა შორის.** 1 დეკემბერს ვინოგრადოვის საპოლიტეხნიკუმო კურსების შენობაში მიწის მზომელთა საზოგადოების კრება მოხდა. კრებაზე რამდენიმე კაცი ჩაეწერა საზოგადოების წევრად (ამ ჟამად წევრთა რიცხვი არის 93): კრებამ დაადგინა, გახსნას ქუთაისში საზოგადოების განყოფილება; ამასთანავე დაავალა გამგეობას, მოაწყოს ლექციები სამიწისმზომლო საკითხებზე.

◆ **ქართულ კულტურის მოყვარულთა საზოგადოების** მორიგი კრება მოხდა შაბათს, 30 ნოემბერს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში. კრება გაგრძელდა საღამოს 8 ნახ.—11 ნახ. საათამდე.

პირველად საზოგადოების წევრმა **შ. ამირეჯიბმა** წაიკითხა მოხსენება ეროვნულ-კულტურულ საქმიანობის შესახებ. შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს **ე. თაყაიშვილმა, გ. ჟორდანიამ, გ. მამრაძემ, დ. ვაჩნაძემ, ჭყონიამ** და თვით რეფერენტმა. უკანასკნელ, კრებამ აირჩია საზოგადოების ახალი წევრები, აგრეთვე საბჭოს და სარევიზიო კომისიის წევრებიც.

საბჭოს წევრებად, მის აწინდელ შედგენილობის გარდა (გ. ჟორდანია, რ. გაბაშვილი და გ. გორდეზიანი), რომლებიც კვლავა რჩებიან სამი წლის განმავლობაში საბჭოს წევრებად, არჩეულ იქმნენ სამის წლითვე მ. ქართველიშვილი და ვ. აბდუშელიშვილი. **კანდიდატებად:** მწერალი განდეგილი, კნ. ა. ამირეჯიბი, მ. გაბაშვილისა და ო. ალლაძე.

სარევიზიო კომისიის წევრებად: ვ. დ. გაბაშვილი, დ. ვაჩნაძე და შ. ამირეჯიბი.

ქუთაისი.

◆ კოსტავას ევროპ. ტანსაცმელის სახელოსნოში **გაფიცვა** დასრულდა. მუშების მოთხოვნილებანი დააკმაყოფილეს.

◆ გაზეთი „**მერცხალი**“ სხვა და სხვა მიზეზისა გამო აღარ გამოდის.

◆ კვირას, 1 დეკემბერს, ქუთაისში გამოვიდა ყოველდღიური გაზეთი „**სიტყვა**“.

სოფლად.

◆ **მცხეთა.** კვირას, 1 დეკემბერს. მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში **ექსარხოსმა ალექსიმ ეპისკოპოს ანტონის** თანამწირველობით სწირა, ექსარხოსმა წირვის შემდეგ სიტყვა სთქვა და საქართველოს მეფეთა და კათალიკოზთა სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადა.

ბუკის ციხე. (გურია), მომხმარებელთა საზოგადოებამ „იმედმა“ მოქმედება დაიწყო. ჯერ 100 წევრი ჰყავს. თანხა 900 მანეთი აქვს.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი. კომისიაში ხიზანთა საკითხის კანონ-პროექტის განხილვის დროს მიიღეს გამოსყიდვის პრინციპი. მთავრობის მიერ წარდგენილი კანონ-პროექტი სრულიად შეუმუშავებელი გამოდგა; ზოგი ხიზანი მიიღებდა დესეტინას ერთ კაპეიკად, ზოგი კი 240—მანეთად და უფრო ძვირადაც. დეპუტატმა **გელოვანმა** აღნიშნა, რომ ყოვლად შეუძლებელია კეთილდღეობა ერთი ხიზნებისა ავაშენოთ მეორე ხიზანთა სრულს განადგურებაზე. ამიტომ გელოვანმა შეიტანა წინადადება, კანონ-პროექტი გადაეცეს მცირე კომისიას, რომელმაც პირველ თებერვალისთვის უნდა შეიმუშავოს მოხსენება გამოსყიდვის ყველასთვის ერთგვარ და ორდინარულ წესის შესახებ.

ქუთაისის ავ-კარგი

ორი დღეა ქუთაისის ავ-კარგი ტფილისის პოლიტეხნიკუმია. ყველა ამ საგანზე ბჭობს და ბაასობს და ვერავის აუხსნია ის, რაც მოხდა. თითქო საქმე საბურთალოს სასარგებლოდ მიმდინარეობდა, თითქო ჰაკელის კომისიის უმრავლესობა საბურთალოსკენ იყო და უცებ „სახალხო გაზეთში“ წავიკითხეთ პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში იქნებაო.

— არა, ბატონო, ეს შეუძლებელია,—სთქვა ერთმა, როცა ეს ცნობა ამოვიკითხე „სახალხო გაზეთში“. გაზეთი ვისმეს შეცდომაში შეუყვანია, თორემ რა ნაირად გადასწყვეტდა მეფის მოადგილე საკითხს, როცა კომისიის უკანასკნელი სხდომა არ ყოფილაო.

— ჭორზე გაზეთი ასეთ ცნობას არ დაამყარებდა, თუმცა დაუჯერებელი ამბავია, მიუგო მეორემ, რომელსაც გულით უნდოდა, რომ გაზეთის ცნობა ჭორზე ყოფილიყო აგებული.

საცა კი შევედი, ყველგან ერთნაირი გაკვირვება და უფრო მეტი გულისწყრომა, რომ ასე აბუჩად აიგდეს პოლიტეხნიკუმის ბედი. მაგრამ რაა ვიქთ, რის შემძლე ვართ, რომ ეს გულის წყრომა თვალსაჩინოდ გავხადოთ და ვამცნოთ მას, ვინც ამის ღირსია.

შიმშილობა კიდევ აბუჩად აიგდო აქაურმა ადმინისტრაციამ: ჩვენ ნამდვილად გავიგეთ, რომ კავკასიის ცენტრალურ მთავრობას გაეგზავნა აქედან ცნობა, რომ მოუსავლობა გუბერნიაში თუმცა იყო, მაგრამ არც იმდენი, რომ ხალხმა თავისი საშუალები და ძალ-ღონით ვერ შესძლოსო გამოკვება თავისი და საქონლისაო. ამას მოგახსენებენ მაზრის ადმინისტრატორები ბოქაულიდან დაწყებული ვიდრე მაზრის უფროსამდე, ხოლო ხალხთან დაახლოვებულნი იმას მოგახსენებენ, რომ გუბერნიის 7 მაზრიდან 5 ეხლა უკვე დამშეულია, ხალხი და მასთან ერთად საქონელი, დიდს გაჭირვებას განიცდისო.

— კიდევ კარგი, მოგახსენათ ერთმა შორაპნიდან მოსულმა, კარგი ამინდებია, თორემ ჩვენი საქონელი უნდა გამოვიყვანოთ და ჩალის ფასად გავყიდოთ, რადგან სახლში ჩალის ნატამალი არა გვაქვს [illegible] თივაში სამსა და ოთხს აბაზს ვერ მივცემთ ფუთში საქონლის საჭმელად.

ეს ხომ საკვები. ეხლა მოისმინეთ სიმინდის ნაკლებობაზე. აქ, ქუთაისში წარსულ თვის ნახევარში შეკრიბა წვრილ კრედ. ამხანაგობათა და სოფლის მეურნეთა კრება. ამას წინ უძღვოდა სამეურნეო საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების მიერ შეკრებილი ცნობების სისტემატიზაცია შიმშილობის შესახებ. ცნობები მიღებული იყო წვრილ კრედიტის ამხანაგობათაგან; ამ უკანასკნელთ სოფლის მცხოვრებათა თანადასწრებით შეუკრებიათ ცნობები და აი საერთოთ, რა სურათს გვიხატავენ 52 ამხანაგობის მიერ მოწოდებული ცნობები; საკმაოდ დიდი მოსავალი მოსულა ოზურგეთისა და ზუგდიდის მაზრის იმ ნაწილებში, რომელნიც ზღვის პირად მდებარეობენ და თან დაცემულ ადგილებში, ხოლო მთა-გორიან ადგილებშიაც ნაკლები მოსავალი ყოფილა, სენაკის და ქუთაისის მაზრის მცირე ნაწილში შედარებით სუსტი მოსავალი ყოფილა, ხოლო ამ მაზრების უმთავრეს ნაწილებში წრევანდელი მოსავალი ხალხს 4 თვეს ძლივს ეყოფა. სხვაზე მეტად დაზარალებულნი შორაპნისა, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრები, საცა ხალხი უკვე განიცდის შიმშილობას და დახმარებას ითხოვს.

როცა საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენელთა და მეურნეთა კრებაზე გამოიანგარიშეს ის, თუ რა მოუნდება დამშეულ მაზრების მცხოვრებთ გამოსაკვებად, აღმოჩნდა სულ მცირე 10 მილიონი ფუთი სიმინდი დასჭირდება მარტო მისთვის ნახევრად შიმშილში გაატაროს წელიწადი.

უნდა ვუმადლოდეთ სამეურნეო საზოგადოების განყოფილებას, რომელმაც იკისრა ამ ცნობების შეკრება, თორემ სხვა ხმას არ ამოიღებდა და სადაც ჩვენი ჭირ-ვარამი არ იციან ადმინისტრაციის მიერ მოწოდებულ ცნობებს დაემყარებოდენ და ხალხი სიტყვით მაძღარი აღმოჩნდებოდა და საქმით მუცელ-ცარიელი.

ელ. ხ. კ.

ალექსანდრე ყაზბეგის მივიწყებული ძეგლი

20 წელიწადი სრულდება, რაც ალექსანდრე ყაზბეგი გარდაიცვალა. მისმა თანამოძმეებმა განიზრახეს, გადაიხადონ მის საფლავზე პანაშვიდი და ოცი წლის თავი წარმოდგენით აღნიშნონ.

მხოლოდ მოხევეებმა მოიგონეს სანდრო ყაზბეგი. ნუ თუ ასე ადვილი დასავიწყარია ის, ვინც „ელგუჯა“, „მამის მკვლელი“, „მოძღვარი“ და სხ. შესძინა სამშობლოს? მის დიდებულ ძეგლს, რომელიც დაუდგა კონსტანტინე მუხრან-ბატონმა, არავითარი წარწერა არა აქვს. რამდენადაც გაგონილი მაქვს, ვგონებ, არც ნაკურთხია ძეგლი.

სასურველია ძეგლზე უბრალოდ მაინც წაიწეროს განსვენებულ ბელეტრისტის სახელი და გვარი. მისი დაბადება-გარდაცვალების აღნიშვნით.

ფ.

საკანონმდებლო დაწესებულებაში

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

ბეჭდვითი სიტყვის კანონ-პროექტი სათათბიროს კომისიაში.

ბეჭდვითი სიტყვის კომისია განაგრძობს კანონ-პროექტის განხილვას. სხდომას დაესწრო ბეჭდვითი საქმეთა სამართველოს უფროსი. კომისიამ დაადგინა წიგნების ხელზე ვაჭრობა ქალაქებში მოხდეს განცხადებითი წესით, ქალაქ გარედ კი ნება დართვითი წესით. კომისია იხილავს კანონ-პროექტის განყოფილებას იმ ნაწარმოებთა თაობაზე, რომელნიც უცხოეთის ცენზურას ექვემდებარება. მომხსენებელ ბენიგსენის წინადადებით კომისიამ საკონტროლო ვადად უცხოეთის ნაწარმოებთათვის—დროებითი გამოცემათათვის 12 საათი, არა დროებითი გამოცემათათვის—2 კვირა. საზღვარ-გარეთ გამოცემული სალვთისმეტყველო თხუზულებანი უვადოდ სინოდის წინასწარ ცენზურას. კომისიამ მიიღო მილიუკოვის წინადადება, რომლითაც კერძო პირთ ნება ეძლევათ ქალაქის უფროსისა ან ბეჭდვითი საქმეთა სამართველოს მთავარ უფროსის ნებართვით უცენზუროდ მიიღონ საზღვარ-გარეთის დროებითი გამოცემანი. კომისიამ შეიწყნარა ბენიგსენის წინადადება: საჩივარი საზღვარ-გარეთის

გამოცემათა მიღების ნებადაურთველობაზე შეტანილი უნდა იყოს ან საოლქო სასამართლოში, ან ბეჭდვითი საქმეთა მთავარ სამართველოში. სპეციალურ ცენზურის დადგენილებათა განსაჩივრება სრულიად აკრძალულია.

„ჯიოკონდას" პოვნის გამო

(დეპეშები)

ფლორენცია. „ჯიოკონდა" ვინმე პერუჯიო ვიჩიცოს უპოვნეს, მან „ჯიოკონდა" პარიზიდან ფლორენციაში ჩაიტანა. ვიჩინცოს ფლორენციის ანტიკვარ ჯერისთვის უნდა მიეყიდნა. ჯერმა ეს ამბავი აცნობა ფლორენციის მუზეუმის დირექტორს პიჯის. ვიჩინცო დააპატიმრეს. იგი ქურდობაში გამოტყდა.

ფლორენცია. კაზმულ ხელოვნებათა გამგეობის დირექტორმა „ჯიოკონდას" სურათი დაწვრილებით დაათვალიერა. სურათი ნაიდვილი აღმოჩნდა, სურათს ზედა აქვს ლუვრის მუზეუმის ნომერი და ბეჭედი.

პარიზი. საფრანგეთის მინისტრ-პრეზიდენტმა დუმერგმა რომში მყოფი საფრანგეთის ელჩს დაავალა მადლობა გამოუცხადოს იტალიის მინისტრ-პრეზიდენტს და სახალხო განათლების მინისტრს მეგობრულ დახმარებისთვის „ჯიოკონდას" პოვნის საქმეში.

ფლორენცია. „ჯიოკონდას" მომპარავი პერუჯიო ციხეშია დაპატიმრებული. იგი ამბობს, რომ ქურდობაში მონაწილე არა მყავდაო. უფიცის გალერეიაში „ჯიოკონდას" სურათის სანახავად დაიარება მრავალი მხატვარი და ხალხი.

რომი. საფრანგეთის საელჩოს ცნობით, „ჯიოკონდას" სურათი რამდენიმე ხანს ფლორენციაში იქნება გამოფენილი, შემდეგ გაჰგზავნიან რომში საფრანგეთის ელჩთან. რომში ნაპოვნ სურათს გამოჰკიდებენ ან საფრანგეთის საელჩოში, ან საფრანგეთის სამხატვრო აკადემიაში.

საქონლის წვრილ სასოფლო-სამეურნეო

ამხანაგობის წევრთა დამფუძნებელი კრება.

21 ნოემბერს სოფ. საქაშეთში (გორის მაზრა) თავ. კ. და დ. დიასამიძიანთას შესდგა დამფუძნებელი კრება საქაშეთის წვრილ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობისა.

კრებას დაესწრნენ ადგილობრივი მეურნე-მეხილენი: თ-დნი დ. დაკ. დიასამიძენი, ილია დიმიტრის ძე მაჭავარიანი, სვიმონ ტიტვინიძე, კონსტანტინე ვასილის ძე კალატოზიშვილი, თინათინა ვასილის ასული კნ. დიასამიძისა, თ-დ ალექსანდრე მაჩაბელი, მღვდ. მიხეილ ედილაშვილი, დავით ივანეს ძე ციცქიშვილი, ისაკ ალექსის ძე მულაძე, ვლადიმერ გულისაშვილი, გიორგი მირზაშვილი, მღვდ. ზაქარია საძაგლიშვილი, კნ. მარიამ რევაზის ასული ავალიშვილი, კნ. მაკინე ამირეჯიბისა, ალექსანდრე ხუციშვილი, ივანე აბაზიშვილი, ნიკო ხუციშვილი სვიმონ ბუზიაშვილი, ქართლის აგრონომი ე. კარბელაშვილი და სხვანი.

კრება გახსნა თ-დ დ. დიასამიძემ, რომელმაც გააცნო დამსწრეთ ამხანაგობის წესდება. თანახმად წესდებისა ამხანაგობის მიზანია დაეხმაროს თავის წევრთ: 1) სოფლის მეურნეობაში საჭირო საგნების შეძენაში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ნაწარმოების გასაღებაში და ტეხნიკურ დამუშავებაში საერთო ხარჯით მოწყობილ დაწესებულებებში და 2) ამხანაგობის წევრთა მეურნეობათა გაუმჯობესობაში ურთიერთი მოსაზრებით და საჭირო ღონისძიებათა განხორციელებით.

ამისათვის ამხანაგობის შეუძლიან შეიძინოს საკუთრად მამული, გამართოს სავაჭროები და საჭირო დაწესებულებანი (заведенія) სოფლის ნაწარმოების დასამუშავებლად, გამოფენები, ბიბლიოთეკები, სასოფლო-სამეურნეო კითხვა-საუბრები. წიგნაკები, წიგნების ბეჭდვა და სხვა.

საწევრო წლიური გადასახადი დადგენილია ერთი მანეთი. პასუხის მგებლობა ამხანაგობის მთელის ქონებით და გარდა ამისა თვითეული წევრი პასუხს აგებს წლიური გადასახადით ერთი სამად; საწევრო გადასახადიდან 1/4 ირიცხება საწარმოვო თანხის აღსადგენად, დანარჩენი წილი ხმარდება ამხანაგობის მიმდინარე ხარჯების გასასტუმრებლად.

ამხანაგობას შეუძლიან თავის შემოსავლისათვის გაწეულ შუამავლობისათვის გამოართვას წევრთ გასამრჯელო (საკომისიო).

წლის თავზე გადარჩენილ თანხებს საზოგადო კრება ანაწილებს სურვილისამებრ საწარმოვო და სათადარიგო თანხების შესადგენად დანარჩენი წილი კრებას შეუძლიან გაანაწილოს წევრთა შორის ან თანაბრად ანდა წევრის ნავაჭრის მიხედვით; კრებას შეუძლიან აგრეთვე მოგება მოახმაროს იმ საქმეს, რომელსაც ადგილობრივ სოფლის მეურნეობისათვის სარგებლობის მოტანა შეუძლიან.

ამხანაგობას უფლება აქვს კრებების მოწვევისა: საზოგადოსი, საგანგებოსი და ჩვეულებრივისა: ჩვეულებრივ კრებაზე იმართება სჯა-ბაასი რაიმე სასოფლო-სამეურნეო საკითხზე. ამხანაგობის მოქმედების რაიონია შინდისის, რუისის და დირბას სოფლის საზოგადოებანი, გორის მაზრისა.

წესდების გაცნობის შემდეგ კრებამ თავმჯდომარედ ამოირჩია ილია დიმიტრის ძე მაჭავარიანი, მდივნად აგრონომი ე. კარბელაშვილი.

შემდეგ თ-დ დ. დიასამიძემ მოახსენა კრებას, რომ ამხანაგობის წესდება დამტკიცებულია 20 მაისს 1913 წელს, და ამხანაგების დაარსების ამბავი და პირვანდელი განზრახვა.

ქართლის აგრონომმა ე. კარბელაშვილმა მიულოცა ამხანაგობას დაარსება ქართულ ს.ს. საზოგადოების სახელით და უსურვა ნაყოფიერი მუშაობა ადგილობრივ სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად.

შემდეგ კრებამ მიიღო ახალი წევრები და შეუდგა ამხანაგობის საქმეების დაწყობას.

შეკრებილთ ერთხმად დაადგინეს ეთხოვოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლს თ-დ კ. აფხაზს მიიღოს წოდება ამხანაგობის საპატიო თავმჯდომარისა, თანახმად წესდების 20 §-ისა და. ეს დადგენილება დეპეშით აცნობოს.

კრებამ მოისმინა მოხსენებანი: 1) ქართლის აგრონომისა ქართულ ს. ს. საზოგადოების: „სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა მოქმედება რუსეთში". და თ-დ დ. დიასამიძის შესახებ ამხანაგების წარსულ და მომავალ მოქმედებისა.

ამხანაგობის წარსული მოქმედება გამოიხატა შემდეგში: 1) ამხანაგობას ამა წლის მეხილეობის გამოფენა—ბაზარზედ მიუღია მონაწილეობა თავის წევრთა ხილის გამოფენით; მიუღია ჯილდო დიდი ვერცხლის მედალი, პრემია 100 მანეთი და ბადის გუთანი. 2) გამოუცია წესდება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა რუსულად, რომელიც საჭიროა გუბერნატორთან წარსადგენად. ხელით დაწერილი წესდება ჯდებოდა ძალიან ძვირად (დამტკიცება და გადაწერა). სხვა ამხანაგობათა დაარსების გასაადვილებლად და თვის საჭიროებისთვის ამხანაგობამ გამოსცა ეს წესდება. 3) საჩვენებელ მინდორზედ დათესა მანქანით პური სოფ. საქაშეთში.

კრებამ დაადგინა: განსაკუთრებული ყურადღება მეხილეობას და მერე სხვა დარგებს მიექცეს, მიიღოს თ-დ დ. დიასამიძის მიერ წარმოდგენილი გეგმა მოქმედების და დაევალოს გამგეობას მისი განხორციელება: ამხანაგობისა სანერგის და საჩვენებელ ბაღ-მინდვრის გასამართად მიწა შეაძლიეს შეღავათიან პირობით შემდეგმა პირებმა: თ-დ ალ. მაჩაბელმა, სანდრო ხუციშვილმა, დავით ციცქიშვილმა და კნ. მაკინე ამირეჯიბისამ. კრებამ ადგილის არჩევა და სივრცის გადაწყვეტა გამგეობას მიანდო.

კრებამ მოისმინა გაწეული ხარჯები და დამტკიცა მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ამხანაგობის შემოსავალი ყოფილა:

გამოფენიდან პრემია—100 მანეთი. საწევრო ფული 1913 დ 1914 წწ. 48 მ. შემოწირულება კერძო პირთა (თ-დ დ. დიასამიძე—9 მან. კ. კალატოზიშვილი—4 მ., თ-დ მ. დიასამიძე—1 მან., ე. კარბელაშვილი—3 მ., ილია მაჭავარიანი—1 მ.) სულ 18 მ., წესდებების გაყიდვით 10 მ. სულ 176 მ.

ხარჯი ამხანაგობას ჰქონდა 21 მ. 05 კაპ., რომელიც კრებამ მიიღო.

დაადგინა აგრეთვე ითხოვოს სათანადო მთავრობის წინაშე თავის წევრებს თ-დ დ. და მ. დიასამიძეებზე ნებართვა ლექციების საკითხავად.

ფერმოლის აპარატის გაქირავების პირობების შესახებ — დაადგინა გამგეობას მიენდოს; გუთანზე კი დაადგინა ქირა 10 კ წევრზე, გარეშეზე 20 კ. დღეში.

გამგეობასვე დაევალა იზრუნოს წევრთა ხილის გასაღებაზე (იკრიბება ბარემ 7 ვაგონამდე).

შემდეგ აირჩია გამგეობის წევრებად სამის წლით თ-დ დიმიტრი დიასამიძე, სიმონ ტიტვინიძე და თ-დ ალ. მაჩაბელი; კანდიდატებად ისაკ გულაძე და ვლადიმერ გულიაშვილი.

სარევიზიო კომისიაში ილია მაჭავარიანი და კონსტანტინე კალატოზიშვილი, ამხანაგების თავმჯდომარედ კი თ-დ დ. დიასამიძე, ხაზინადრად სვიმონ ტიტვინიძე.

მუშათა ცხოვრება

ხარაზების სრულიად რუსეთის კრება.

ამ ჟამად პეტერბურგის ხარაზების შორის თათბირია სრულიად რუსეთის კრების მოწვევის შესახებ. განზრახულია კრების განსახილველად წამოაყენონ საკითხი მუშათა დაზღვევისა სახაზინო და მრეწველთა ხარჯით, 1799 წ. სახელოსნო წესდების გაუქმება და სახარაზო ქარხნების ინსპექციის დაქვემდებარება. კრების მოწვევა მოსკოვის პროფესიონალურმა საზოგადოებამ იკისრა.

გაფიცვა.

გაფიცვა შახეკოვის პურის საცხობში 28 ნოემბერს დასრულდა. მუშების მოთხოვნილებანი არ დააკმაყოფილეს. გუშინ დაითხოვეს ბრიაშკინის ფეხსაცმელების ქარხნის გაფიცული მუშები.

ამავე დღეს სატელეფონო ქარხნის „ერიკსონის" გაფიცულ მუშების კრებაზე გადასწყდა გაფიცვა გაგრძელდეს, სანამ მუშათა ყველა მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებენ.

წერილი მოსკოვიდან

21 ნოემბერს „მოსკოვის მეორე შევარდენთა საზოგადოებამ" გამართა სადღესასწაულო გიმნასტიური საღამო. ჩვენთვის ეს ზემოხსენებული საღამო მით იყო ყურადსაღები, რომ მასში მონაწილეობას იღებდნენ ტფილისელები. ამ უკანასკნელებმა სული ჩაუდგეს ყოველ მხრივ უფერულ საღამოს. ტფილისელი გიმნასტები რომ არ რეულიყვნენ, საზოგადოება მგონი არც კი მოუცდიდა ვარჯიშობის დასასრულს და გაჭედილი დარბაზი მალე დაიცლებოდა. ნამეტნავად ირჩეოდა ამ საღამოს ვაჟთა ჯგუფის ხელმძღვანელი სტ. ბერელაშვილი. მან თავისი მოხდენილი, მკვირცხლ და ლამაზ ვარჯიშობით საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ეს ის ბერელაშვილია, რომელმაც პრაგაში 1912 წ. საერთაშორისო ვარჯიშობაში პირველი ჯილდო მიიღო. აგრეთვე კარგად ვარჯიშობდნენ ჯიგიტიანცი და პრეჩინსკი ორივე ტფილისელი არის. საზოგადოება მხურვალე ტაშისცემით აჯილდოვებდა ამ ზემოხსენებულ პირთ. არა უშავდარა ონანაშვილს. საზოგადოდ ყველა ტფილისელები კარგ შთაბეჭდილებას ახდენდნენ და ეს არც გასაკვირველია, რადგან ტფილისელ გიმნასტებმა საერთაშორისო ვარჯიშობაში პრაგაში პირველი ადგილი დაიკავეს. ტფილისის შევარდენთა საზოგადოებას მკვიდრ ნიადაგზე დააყენა ამ საზოგადოების ხელმძღვანელმა ლუკემ.

Апрег.

პედაგოგიური პასუხი თუ თავის ნაწარმოების რეკლამა?!

(პასუხად ბ.ბ. ზედგინიძეს და ჯაფარიძეს)

(შემდეგი *)

ბ. ბ. ზედგინიძესა და ჯაფარიძეს არ მოსწონთ არც ერთი რუსული სახელმძღვანელო, რომელსაც ხმარობენ ჩვენს სკოლებში ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს" შემდეგ არც ჩვენ მოგვწონს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ შევადგინოთ არსებულ სახელმძღვანელოებზე უვარგისი, გამოუსადეგარი სახელმძღვანელო, როგორც ეს მოსვლიათ ბ. ბ. პედაგოგებს. ქართველ პედაგოგებისაგან ჩვენ მოვითხოვთ ისეთ სახელმძღვანელოს, რომელიც მართლა გაგრძელება იქნებოდა გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს" მე-II ნაწილისა. ამ სახელმძღვანელოში მასალა შერჩეული უნდა იყოს ბავშვის ეროვნულ ცხოვრებიდან, მისი სამშობლო ბუნებიდან. ასე მოიქცნენ ბ. ბ. ზედგინიძე და ჯაფარიძე? არა, მათ შეადგინეს ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც არაფრით არ განსხვავდება წმიდა წყლის რუსულ სახელმძღვანელოებიდან, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თვალების ასახვევად ჩართულ ორ მახინჯ სურათს ვითომდა ქართველების ცხოვრებიდან (იხ. „სახ. გაზ." № 1050, არ. ჯ—შვილის წერილი). განა ის მასალა, რაც ბ. ბ. ზედგინიძე—ჯაფარიძის [illegible], ყველა სახელმძღვანელოში არ მოიპოვება მეტ-ნაკლებობით? განა ის სისტემა, რაზედაც აგებულია ბ. ბ. ზედგინიძის და ჯაფარიძის სახელმძღვანელო რაიმე ახალს წარმოადგენს და თითქმის იგივე არ არის, რაც სხვა სახელმძღვანელოები? გვერწმუნეთ ბ. ბ. ჯაფარიძე და ზედგინიძე: ვერ ნახავთ ისეთ სახელმძღვანელოს, სადაც ლაპარაკი არ იყოს ოჯახზე, სკოლაზე, სამშობლოზე... მაგრამ, როდესაც სახელმძღვანელონი ქართველ ბავშვს გადამთიელების ოჯახებზე ელაპარაკებიან და ესკიმოსებს საშმობლოზე—მას ჩვენ უვარგის სახელმძღვანელოს ვეძახით. ზოგი იწყებს სკოლიდან. ზოგიც—ოჯახიდან. ბ. ბ. „პედაგოგებს" პირველ თავში სკოლა მოუქცევიათ, ისე, როგორც, მაგალითად ვახტეროვს და ტულუპოვ-შესტაკოვს. ბ. ბ. პედაგოგებს არსებული რუსული სახელმძღვანელოები თურმე არა იმიტომ არ მოსწონთ, რომ ეს სახელმძღვანელოები „არ აკმაყოფილებენ არც თავისი გეგმით, არც მასალის შერჩევით და არც ამ უკანასკნელის დამუშავებით". ჩვენც არ მოგვწონს და ამიტომ მოვითხოვდით ქართველ მასწავლებლისაგან, რომ შესაფერ გეგმასთან ერთად ქართველ ბავშვების სულთან დაახლოვებული მასალა იყოს შერჩეული, სახელმძღვანელომ თავისი შინაარსით არ დაამშოროს ბავშვი სამშობლოს და არ გადაჰკარგოს იგი სადმე ცხრა მთის იქით. ჩვენ ვუსაყვედურეთ ბ. ბ. ჯაფარიძეს და ზედგინიძეს, რომ მათ სახელმძღვანელოდან განდევნილია ყველაფერი ქართული, სურათებიც კი. იმის მაგივრად, რომ ამაზე გაეცათ პასუხი, ბ. ბ. პედაგოგები მომდგარან და დაუწერიათ ვეებერთელა წერილი, სადაც მათ სახელმძღვანელოში მოთავსებულ უცხო მასალის ქება-დიდების მეტი არა არის-რა. ერთი საგულისხმო ამბავი მაგონდება; ყველას ეცოდინება, რომ ტფილისში არის „ცნობილი" იმპრესარიო, რომელიც სხვა და სხვა ხრიკებით აწყობს ყოველგვარ უშინაარსო „დილებს", „უფასო სეირნობებს" სხვა და სხვა „გასამართლებას". ერთ რუსულ გაზეთში რამდენიმე წერილი დაიბეჭდა მის წინააღმდეგ. მაშინ ეს ვაჟბატონი მივიდა წერილის ავტორთან და უთხრა: ჩემი „გასამართლება" უნდა დავნიშნო სახაზინო თეატრში. შენ ბრალმდებლად გამოხვალ, დამცველებს მე ამოვირჩევ და მოსამართლეებს მოვიწვევო". რასაკვირველია, ეს სენსაციური ამბავი ხალხს დააინტერესებდა და თეატრის დარბაზი გაივსებოდა. „შემოსავალს რას უზამთო?" ჰკითხეს მას. „რასაკვირველია ჩემ სასარგებლოდ იქნებაო". ამ კაცს თავის გამართლებაც კი თავის სასარგებლოდ უნდოდა გამოეყენებინა. ბ. ბ. „პედაგოგებსაც სწორედ ისე მოუვიდათ. მისდგნენ და აქეს მათ სახელმძღვანელოში მოთავსებული მოთხრობები. „ბრძენო პედაგოგებო!" დაგვისახელეთ ერთი ისეთი რუსული სახელმძღვანელო, რომელშიაც არ იყოს რუსეთის ოჯახისა, სკოლისა, ბუნებისა და ხალხის ქებათაქება, რომელშიაც გატარებული იყოს ვისმესი ძაგება ან შეძულება. მაგრამ საქმე ის კი არ არის, თუ რა ხასიათის მასალაა მოთავსებული, არამედ როგორ და რისთვის არის იგი გამოყენებული. მაგალითად, ეჭვს გარეშეა, რომ ტურგენევი „ინოროდეც" ბავშვების გასარუსებლად არ სწერდა, მაგრამ თქვენისთანა „პედაგოგების" ხელში კი ტურგენევი საუკეთესო იარაღი გახდება გარუსებისათვის.

დაწვრილებით განხილვა მასალისა, რომელსაც ბ. ბ. „პედაგოგები" ხოტბას ასხამენ, შორს წაგვიყვანს და არც საინტერესოა, რაც შეეხება მასალის დამუშავებას, მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს. პირველი მოთხრობა: „Снова въ школу". მოთხრობა ეკუთვნის ცნობილ დე-ამიჩის. ჩვენს პედაგოგებს ისე დაუმახინჯებიათ, მათებურად რომა ვსთქვათ „შეუმუშავებიათ" იგი, რომ სრულებით გაუქარწყლებიათ კეთილი დე-ამიჩისა, რომელიც ამბობს, „Въ Сибири школы занесены снѣгомъ, въ Аравіи онѣ стоятъ подъ навѣсами пальмъ; но вездѣ въ нихъ учатся такія же дѣти, какъ ты, учатся на разный ладъ, но въ сущности одному и тому же". ზედგინიძეს და ჯაფარიძეს „учатся на разный ладъ" გადაუკეთებიათ „учатся на разныхъ языкахъ". ნუ თუ ბ. ბ. პედაგოგებს ჰგონიათ, რომ შეიძლება კიდევ მოიძებნოს სადმე ჩვენსავით უბადრუკი ქვეყნის პოვნა, რომ სწავლება სხვადასხვა ენის საშუალებით წარმოებდეს და არა მარტო დედაენით? ცხადია, ასეთი შემუშავება—დათვური სამსახურია დე-ამიჩისათვის.

ბ.ბ. ზედგინიძეს და ჯაფარიძეს თავიანთ სახელმძღვანელოს ღირსების დასასაბუთებლად არა რუსთა სკოლებისათვის ის გარემოება მიაჩნიათ, რომ სიტყვებზე აღნიშნულია ხმის ასამაღლებელი ნიშნები, ამას სამინისტროც მოითხოვსო. ხმის ასამაღლებელი ნიშნები თუ აუცილებელი საჭიროა ელემენტარულ სახელმძღვანელოებში, უფროს კლასებში ხომ აღარ არის საჭირო? იქიდან ან სრულებით განდევნილი უნდა იყოს, და ან ძლიერ შემცირებული. ხმის ასამაღლებელი ნიშნები ისეთ სიტყვებზე უნდა იქნას დასმული, რომელნიც ბავშვთათვის ან ახალია, ან ძნელი გამოსათქმელი. ეს ნიშნები სტრიქონებს ძლიერ აჭრელებს და როგორც მასწავლებლისა ისე მოწაფის თვითმოქმედებას სპობს. თუ მოწაფემ ერთხელ შეისწავლა სიტყვების გამოთქმა, შემდეგ ხმის ასამაღლებელი ნიშნები საჭირო აღარ არის. ასე იქცევიან სწორედ ის რუსი პედაგოგები, რომელთაც არა რუსთათვის შეუდგენიათ სახელმძღვანელოები; მაგალ.: ვოლპერი, ბუბლიკოვი, დავისი და სხვ.

„არა რუსთათვის საჭიროა ისეთი სიტყვების განმარტება, რომელიც რუს მოწაფეთათვის ზედმეტია"-ო და სხვა. ბ. ბ. „პედაგოგების" სიტყვებიდან გამოდის, რომ სიტყვების განმარტება საჭიროა რუსებისათვის სხვანაირად და არარუსთათვის სხვანაირად. მაგრამ ბ. ბ. ზედგინიძისა და ჯაფარიძის მიერ განმარტებულ სიტყვებში სრულებით ვერა ვხედავთ იმას, რაც საჭირო უნდა იყვეს არა რუსთა სკოლის მოწაფეთათვის. პირიქით, ხშირად ისეთი განმარტება გვხვდება, რომლისაგანაც ვერც რუსი და მით უმეტეს ვერც „ინოროდეცი" ვერ გაიგებს. რომელი გვერდიც გსურთ გადაშალეთ და გადაათვალიერეთ ეგრედწოდებული „Вещественный разборъ"-ი. მაგ. „Подснѣжникъ—полевой цвѣтокъ", „папоротникъ—особое травянистое растеніе (გვ. 49). „Зипунъ—верхняя просторная одежда у крестьянъ"(?) (გვ. 113). (ეს რომელი გლეხის ტანისამოსია, ბ. ბ. „პედაგოგებო"?).

კორდელი.

(შემდეგი იქნება)

მოწერილი ამბები

აკეთი (გურია). მღვდ. დ. ჩხაიძემ მოინდომა მღვდლებისთვის ბიბლიოთეკა-სამკითხველოს დაარსება. მღვდლებმაც გადასწყვიტეს ბიბლიოთეკის დაარსება ს. აკეთში, ამოირჩიეს კომისიები, რომლებსაც უნდა გამოერჩიათ ადგილი ბიბლიოთეკისათვის და ეზრუნათ მის დაარსებაზე. ამის შემდეგ ბლაღ. მღ. დ. შეუდგა ფულის მოკრებას. ფული შეიტანეს როგორც სამღვდელოებამ, ისე სხვა კერძო პირებმაც. ამავე სამკითხველოს სასარგებლოდ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასაც შეუწირავს ოცდა ხუთი მანეთი. მას შემდეგ მეოთხე წელიწადია და სამკითხველოს დაარსება ვერ მოხერხდა. რადგანაც სამკითხველოს გახსნა არ მოხერხდა, კარგი იქნება, თუ შეგროვილი ფული აკეთში არსებულ სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გადაეცემა.

თ. რ—ლი.

დეპეშები

([illegible] პეტერბ. სააგენტოსაგან).

1—2 დეკემბერი.

უცხოეთი.

ბელგრადი. „პრეს-ბიურო" უარჰყოფს ცნობას, ვითომც ავსტრიის საწინააღმდეგოდ რუმინია და სერბია შეთანხმებულიყვნენ.

ვენა. ავსტრიის დელეგაცია. პოლონელი როსნერი ამბობს: ბალკანეთის კრიზისის დროს გერმანიის ნაცვლად ავსტრია აგებდა პასუხს; მონარქიის კავშირმა, პირველ ყოვლის, მონარქიის ინტერესები უნდა დაიცვას; ავსტრიის დიპლომატია შუამავალი უნდა იყოს ერთის მხრივ პარიზსა და რომს შუა, მეორე მხრივ პარიზისა და ბერლინს შორის. საფრანგეთთან დაახლოვება ხელსაყრელი იქნებოდა მონარქიისთვის და დააკმაყოფილებდა პოლონელთა ეროვნულ ინტერესებსო.

კლოფაჩი უკმაყოფილებას გამოსთქვამს ჩერნოგორია-სერბიის წინააღმდეგ ალბანელთა ამხედრების გამო; ავსტრია-ჰუნგრეთში რუსის მეცნიერებსა და მგზავრებს ფრიად აწიოკებენ. მოლაპარაკე ამ მოვლენას სასტიკად ჰგმობს.

თეირანი. ბახტიართა მხედრობის მდგომარეობა, ხანებისაგან ჯამაგირის მიუღებლობის გამო, ფრიად [illegible].

პეკინი. მართვა-გამგეობის ცენტრალურ საბჭოს თავმჯდომარედ პრეზიდენტის ბრძანებით დაინიშნა ლიჩინსი. საბჭოს სხდომები 2 დეკემბერს დაიწყება.

ვენა. ავსტრიის დელეგაცია. უკრაინელთა ბელადი ლევიცკი უკმაყოფილებას გამოსთქვამს ჰუნგრეთში უკრაინელთა გამადიარების წინააღმდეგ. უკრაინელები რუსეთთან ომის გამოცხადების მომხრენი არ არიან, მაგრამ ენერგიულად გაუწევენ წინააღმდეგობას რუსეთთან შეერთებას, თუ ამის გულისთვის უკრაინელთა ინტერესები მსხვერპლად გაიწირება. თუ გალიციაში რუსებს სდევნიან, ავსტრია-ჰუნგრეთის მოქალაქენი არც რუსეთში არიან ამ მხრივ უზრუნველყოფილნი.

კრამარჟმა სიტყვა წარმოსთქვა; იგი სასტიკად ჰგმობს დელეგაციათა იმედიანობას. მდგომარეობა ფრიად შავბნელია, საფრთხე ყოველთვის არის მოსალოდნელი, მომავალში კეთილდღეობის იმედი არა სჩანს, ბუქარესტის ხელშეკრულებას გადაათვალიერებენ: ბულგარეთი დღევანდელ მდგომარეობით ვერ დაკმაყოფილდება, სერბია სცდება, ვითომც ზღვისკენ იშოვოს გასავალი, საბერძნეთი თავის ეპიროტებს არ დაუთმობს ალბანეთის მთავარს. თვით ალბანეთი უშველებელ კითხვის ნიშანს წარმოადგენს, რუმინია არ იკმარებს დათმობილ პროვინციებს. რუსეთი თავგანწირულებამდე ყოფილა მშვიდობის მოყვარე; ეს იმას მიეწერება, რომ რუსეთმა განვლო მღელვარების ხანა; აგრეთვე რუსეთს ჰსურს თვის ეკონომიურ განვითარებას ხელი არ შეუშალოს; მაგრამ, მეორე მხრივ ჩვენ ვხედავთ, რუსეთს კვლავ ჰსურს იყოს ძლევამოსილი სახელმწიფო, შიშსა ჰგვრიდეს სხვა სახელმწიფოებსო, იმედი არ უნდა ვიქონიოთ, რომ რუსეთის პოლიტიკა მომავალშიაც დღევანდელს ემსგავსება. ერი მაშინ აპატიებს მთავრობას შინაურ პოლიტიკის ნაკლულევანებას, თუ საგარეო პოლიტიკა ფრიად ძლიერია; მაგრამ თუ შინაური პოლიტიკა ერთობ არ აკმაყოფილებს ერს, მაშინ საგარეო პოლიტიკა მეორე ხარისხოვან ადგილს იჭერს, ამას ვერც ერთი ერი ვერ მოითმენს. ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ იმ მოვლენას, რომ რუსეთი იძულებული გაჰხდება მახლობელ აღმოსავლეთში ძლიერი პოლიტიკა აწარმოოს. გერმანიამ თვის შეიარაღებით უკვე მოგვიახლოვა ევროპის ომი, საფრანგეთი არ მოიწადინებს თვისი ინტელიგენცია დიდხანსა ჰყვანდეს შებოჭვილი სამი წლის საჯარო ბეგარის ბორკილებით, ამასთანავე იგი აღფრთოვანებულია ახალი ძალით-ღონით, სიმამაცით, იტალია სანდო ვერ არის მოლაპარაკეს მოჰყავს მრავალი ცნობა იტალიის გავლენის დასამტკიცებლად ალბანეთის ოლქებში. ალბანეთის დამოუკიდებლობის შექმნა სთქვა მოლაპარაკემ,—ავსტრიის დიპლომატიის მიუტევებელ ცოდვად ჩაეთვლება. ჩრდილო ალბანეთი რომ სერბიისთვის მიეკუთვნებინათ, უფრო უმჯობესი იქნებოდაო. ავსტრიას ბულგარეთის იმედი ტყუილადა აქვს, ბულგარეთი იგრძნობს თვის უძლურებას, ავსტრია კი მას ვერაფრით ვერ დაეხმარება, თუ მეზობელ სახელმწიფოებთან არ შეთანხმდა. ბალკანეთის კავშირის დარღვევა მცდარია. სერბია-ბულგარეთის მილიონ ხიშტის ნაცვლად ავსტრიის წინააღმდეგ, ეხლა იქნება მილიონ ნახევარი ხიშტი სერბია-რუმინია-ჩერნოგორიისა, ავსტრიას მოსალოდნელ საფრთხესაგან დაიცავს არა გერმანიის კავშირი, არამედ მონარქიის შინაურ საქმეთა მოწესრიგება, სლავიანების მიმართ პოლიტიკის შეცვლა.

სოფია. ბულგარეთში ცნობა მივიდა, ვითომც დეპუტატთა პალატის ოპოზიცია აპირებს შეკითხვის შეტანას, საცა გიორგი მეფის მოკვლას ბულგარელებს აბრალებენ, ამ ამბავმა ფრიად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ბულგართა წრეებზე.

ტოკიო. ფორმოზის ნაფიც ვექილთა საზოგადოებამ მიჰმართა ტოკიოს ვექილების საზოგადოების გულისყური მიაქციონ ფორმოზის მცხოვრებთა შევიწროვებას და მკაცრ დასჯას.

ვენა. ჰუნგრეთის დელეგაციამ ოპოზიციის წევრმა კოროლიმ შეკითხვა შეიტანა „პესტი ხირლიაპში" მოთავსებულ ცნობის გამო, ვითომც სერბიამ და რუმინიამ სამხედრო კონვენცია შეჰკრეს ბულგარეთისა და მონარქიის წინააღმდეგო. ბერჰტოლ-

---

*) იხ. „სახალხო გაზეთი" № 1055.

დი განმარტავს, ამგვარი ხელშეკრულება არ არსებობსო. ოპოზიციის წევრი რაკოვსკი ეკითხება მინისტრს: როგორ შევუთანხმოთ ერთი მეორეს ვიკენბურგის პასუხი რუსეთთან მეგობრობის შესახებ დრიზის დროს და ავსტრია-ჰუნგრეთის სამხედრო სამზადისიო, ან რამ გამოიწვია პრინცი გოგენლოეს მისია. მინისტრმა უპასუხა: ეს მისია ემსახურებოდა კეთილგანწყობილებისა და მეგობრობის აღდგენას რუსეთსა და ავსტრია-ჰუნგრეთის შორისო. საომარი სამზადისის გამო მინისტრი აგონებს სამხედრო მინისტრის განმარტებას და სრულიად ეთანხმება მას.

ლონდონი. ულსტერის საკითხის კონფერენციის თაობაზე პეტერბურგის სააგენტო იტყობინება: წარსულ ხუთშაბათს ლოიდ-ჯორჯი და ლორდ მორლეი საიმონი ებაასნენ ოსტინ ჩემბერლენს ულსტერის საკითხის თაობაზე. შეადგინეს პატარა მოხსენება და ბაასის შედეგი გაუგზავნეს ასკვიტსა და ბონარ-ლოუს. დაწვრილებითი ცნობები არ არის. ჰფიქრობენ, მთავრობა სხვა დროსთვის გადასდებს ულსტერის პროვინციებში თვითმართველობის კანონის შემოღებასო; ოპოზიცია დასთანხმდება მთავრობას ეს კანონი ირლანდიის ზოგიერთ პროვინციაში შემოიღონ.

ვენა. ავსტრიის დელეგაცია. გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს, სოციალ-დემოკრატმა ნემეცმა წინადადება შეიტანა, რო დაეგმოთ სამინისტროს მოქმედება. წინადადება დელეგაციამ უარჰყო.

რომი. ნაციონალისტ ფედერცონის არჩევა პალატამ კანონიერადა სცნო. ამ ამბავმა სოციალისტების საწინააღმდეგო დემონსტრაცია გამოიწვია.

პარლამენტის მახლობლად სოციალისტები და ნაციონალისტები ერთმანეთს დაერივნენ. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი.

ლიდსი. ქალაქის მუშათა გაფიცვას მხარი დაუჭირეს ტრამვაის მოსამსახურეებმა. გაფიცულია 5,000 კაცი.

ვაშინგტონი. ადმირალ ფლეტჩერი დეპეშით იტყობინება, ტამპიკოში მდგომარეობა თანდათან რთულდებაო. გაფიცვები გრძელდება. ფედერალისტები და კონსტიტუციონალისტები განაგრძობენ ტყვეთა ხოცვა-ჟლეტას. მოკლულია 65 კაცი. ფედერალისტთა ბანაკში სამი ტყვე ჩამოახრჩვეს. კაცთმოყვარეთა საზოგადოების სახელით ფლეტჩერი უკმაყოფილებას გამოსთქვამს.

ლონდონი. სუფრაჟისტი ქალი პანკჰერსტი პარიზიდან დაბრუნებისას კვლავ დააპატიმრეს.

ლონდონი. კონვენტ ჰარდენში მეფე მეუღლით დაესწრო ოპერას, მათ პირდაპირ ლოჟაში სუფრაჟისტი ქალები ისხდნენ. წარმოდგენის დროს ააფრიალეს დროშა წარწერით: „თქვენი უდიდებულესობის ციხეებში ქალები ტანჯვა-წამებას განიცდიან“ როდესაც ქალებმა მიჰმართეს მეფეს პანკჰერსტის შეპყრობაზე, საზოგადოება ახმაურდა და სუფრაჟისტები ჩააჩუმა. თეატრის მსახურებმა სუფრაჟისტები თეატრიდან გააძევეს.

ლონდონი. რეიტერის სააგენტო ოფიციალურ წყაროდან იტყობინება: ინგლისმა დიდ სახელმწიფოებს მიჰმართა, გაიღონ საერთაშორისო სესხად 60,000 მ. ღატაკ ალბანელთა სასარგებლოდ.

ვენა. პოლონელ ერის პარტიის დელეგატთა კრებაზე რამდენიმე დელეგატი დეპუტატ სტაპინსკის უსაყვედურებდა მისი მოქმედების გამო: სტაპინსკი ღირსი არ არის პოლონელ ერის წარმომადგენლობისაო; მინისტრმა დლუგოშმა სტაპინსკის უსაყვედურა დიდძალ ფულს იღებდი ხოლმეო. კრებამ სტაპინსკის ნდობა გამოუცხადა, დლუგოშის მომხრეებმა დარბაზი მიატოვეს. კრებამ დლუგოში პარტიიდან გააძევა.

სოფია. საბერძნეთის მთავრობამ რუსეთის საელჩოს შემწეობით ბულგარეთს აცნობა, რომ არც ერთი ბულგარელი ტყვე, რომელმაც სიკვდილით დასჯა ჰქონდათ მისჯილი, არ დაისჯებაო. ამ ტყვეებს დაუყოვნებლივ გაანთავისუფლებენ, ბულგარეთისა და საბერძნეთის დიპლომატიური მოლაპარაკება განახლდება და თრაკიაში ბერძენთა დევნა შესწყდება.

თავრიზი. ამ ბოლო დროს ქალაქში მღელვარებაა. თეირანიდან რამდენიმე აგიტატორი მოსულა მცხოვრებთა ასამხედრებლად რუსების წინააღმდეგ მეჯლისში არჩევნების დროს.

26 ნოემბერს თავრიზზე 14 ვერსის დაშორებით ყელი გამოსჭრეს 7 მეწისქვილეს.

პარიზი. „ე.-დე-პარი“ გადმოგვცემს აღმოსავლეთ რკინის გზათა ინტერნაციონალიზაციის პროექტს. ორი საზოგადოება დაარსდება. პირველში შევლენ—ავსტრია-ჰუნგრეთისა, სერბიისა და პარიზის კაპიტალისტები; მეორეში—ავსტრია-ჰუნგრეთისა, საბერძნეთისა და პარიზისა. ორივე საზოგადოებას სათავეში ედგება საფინანსო ორგანო დუმერგის თავმჯდომარეობით, ავსტრია ამაზე არსებითად დასთანხმდება იმ პირობით, რომ წვრილმანების შემუშავების დროს ავსტრიის ინტერესები დაიცვან.

რუსეთი.

პეტერბურგი. საფრანგეთის ელჩი დელკასე საზღვარ-გარედ გაემგზავრა.

პეტერბურგი. რადგანაც ადგილობრივ სასამართლოთა რეორგანიზაციის კანონი ძალაში შედის 1914 წ. პირველ იანვრიდან, იუსტიციის სამინისტრომ კიევისა, ხარკოვისა, ნოვოჩერკასკისა და ოდესის სამოსამართლო პალატათა თავმჯდომარეებს სახელმძღვანელო ცირკულიარი დაუგზავნა.

პეტერბურგი. დედებსა და ბავშვებზე მზრუნავი საზოგადოების საამშენებლო კომიტეტი შეჯიბრებას აცხადებს. ცენტრალურ ინსტიტუტის შენობის პროექტის შესადგენად. შეჯიბრების გეგმა „პრავიტ. ვესტ“. არის დაბეჭდილი, საუკეთესო პროექტისათვის დანიშნულია ჯილდო. პირველი—2.500 მ., მეორე—1.800 მ., მესამე—1.000 მ. მეოთხე—700 მ.

მინსკი. მაზრის ერობა შუამდგომლობს, რათა სამელიორაციო საქმეები ხაზინის ხარჯით სწარმოებდეს.

ეკატერინოდარი. წვრილი კრედიტის დაწესებულებათა საოლქო კრება დაიწყო. 300 წარმომადგენელი მონაწილეობს.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. გუშინწინ განმეორებულმა „ოიდიპოს მეფემ“ კიდევ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ვიდრე პირველმა წარმოდგენამ. ჭეშმარიტად ამის მსგავსი ტრაგედია მეორე არ მოიპოვება მსოფლიო მწერლობაში. აგერ 25 საუკუნეა, რაც დაწერილა სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე“ და აქამდის კაცობრიობის ნიჭს უკეთესი არა შეუქმნია რა. სამი თუ ოთხი კვირის წინად ვნახე ეს ნაწარმოები ჩვენს სცენაზე და ახლა კიდევ უფრო მეტის ინტერესით ვისმენდი უბედური მეფის საშინელ ტრაგედიას. დიადი ქმნილების ღირსება სწორედ ისაა, რომ რაც უფრო დაახლოვებით გაიცნობთ, მით უფრო შეგიყვარდებათ, მით უფრო გიზიდავთ, გეთვისებათ და ასპეტაკებს, ალამაზებს თქვენს სულსა და გულს.

ბ. იმედაშვილი, ოიდიპოს, უკეთესი იყო წინანდელზე. უეჭველია, ნიჭიერი მსახიობი მერე და მერე სავსებით შეითვისებს როლს, დასძლევს თითო-ოროლა კერძო ნაკლს და მალე მიაღწევს სრულს მხატვრულს განხორციელებას. მისმა ძლიერმა ბუნებრივმა თამაშმა მთელი თეატრი დაიმონა და ერთის მაღალით გრძნობით გამსჭვალა, ბევრს უნებურად ამოხდა გულიდამ ვაების ძახილი და მრავალი ცრემლებით ეზიარა ტანჯული ადამიანის სულს. წარმოდგენის გათავების შემდეგ საზოგადოებამ რამდენჯერმე მხურვალე ტაშით გამოიწვია მსახიობი.

„ოიდიპოს მეფის“ შემდეგ ითამაშეს სოფოკლესვე „ანტიგონე“, რომელიც შედარებით უფრო სუსტი ნაწარმოებია და მაყურებლებზედაც ნაკლები შთაბეჭდილება მოახდინა. უნდა შევნიშნოთ, რომ მსახიობებს საკმაოდ ვერ შეუთვისებიათ როლები, მათ თამაშს აკლდა მხატვრული თავისუფლება და ზოგმა როლიც სუსტად იცოდა. საერთოდ წარმოდგენას არა უშავდა; საჭიროა მხოლოდ მომავალში მეტი გავარჯიშება.

ერთხელ კიდევ უნდა მოვიხსენიოთ, რომ სოფოკლეს ტრაგედიების მსგავს პიესებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს და დიდად სასურველია ხშირად ვხედავდეთ ქართულ სცენაზე. **ქ.**

ავლაბრის თეატრი. კვირას, 1 დეკემბერს, ავლაბრის ქარ. სახ. წარმ. მმართ. წრემ ივანიძის რეჟისორობით წარმოადგინა ირეთელის „დამარცხებულნი“, პიესამ საერთოდ რიგიანად ჩაიარა.

ბათომი. 5 დეკემბერს ბათომის რკინის თეატრში დრამატიული დასის მიერ გამართულ იქმნება **ბენეფისი პლატონ კორიშელის.** კორიშელი ჯერ ახალგაზდა მუშაკია, მაგრამ მან თავისი დაკვირვებული მუშაობით და მუყაითობით დაიმსახურა საზოგადოების მოწონება და სიყვარული.

შემოწირულება

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ეს შემოწირულება გადასცეთ მგოსან **ირ. ევდოშვილს** 7 მ. და 75 კ., რომელიც მოგროვდა დაბა ფასანაურში. უმორჩილესად, ბ-ნო რედაქტორო, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადაუხადოთ შემდეგ შემომწირველთა ს: გ. კობაიძე—2 მან. ჟამუტაშვილი 1 მ. ათ-ათი შაური კ. კობაიძე, ა. სეხნიევი, აფარქაძე, ვ. ბექაური, ექვს-ექვსი შაური: გაგლოევი, ა. ბაკურაძე, ლ. აბულაძე ვ. ტრიპოლსკი, ვ. თუჯიშვილი, ტ. ამირიძე 20 კ., ა. ქავთაროვი—20 კ. ორ-ორი შაური: ი. კობაიძე, გ. ბუჩუკური, შ. ქავთაროვი, მ. კიკიხოვი, მ. ჯანაშვილი, გ. მკერვალიშვილი.

ლ. ფ. საბაშვილი.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ეს მცირე წვლილი 10 მან. გადასცეთ ვისაც ჯერ არს დასავლეთ საქართველოს **დამშეულთა სასარგებლოდ.** სიშორის გამო ვერ ვუგზავნი დაპირებულ 20 ფუთს ხორბალს.

მღვდ. ვალერ. ტაბლიაშვილი.

ბ. რ. გახლებთ 42 მ. ვლადივოსტოკში და სად უგოლნიაში შეკრებილს გ. ჩიგოგიძის დახმარებით. ამასთანავე უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ ჩვენი სასიქადულო მგოსანს ავადმყოფს **ნინო ორბელიანის** სასარგებლოდ. შემომწირველთა სია: დავ. მოდებაძე 6 მ., ილარ. მახარაძე 5 მ. სამ-სამი მანეთი. გიორ. შეწირული, ალექსი მაქაცარია, მ. ს. ოდელავაძე, იოსება ნორაკიძე. ორ-ორი მან.: სერაფიონ ვირდანიძე, ნიკო ქავჟანიძე, გერასიმე თოთიბაძე, მიხაკო წივწივაძე. თითო მანეთი: პ. ელიაიანი, ნ. ბერიძე, მ. გორდაძე, დ. ლეკიშვილი, გ. ჩიგოგიძე, ვ. ცხომელიძე, ვ. გოგობერიძე, ქ. ჯაყელი, მ. დოლიძე, ლობჯანიძე. ა. გორგიძე. სულ 42 მან.

პატივისცემით

სერაფიონ ვირდანიძე.

წერილი რედ. მიმართ

მათხონჯის წ.-დ ნინოს დედათა მონასტერს შემოსწირეს ქ. ქუთაისის ვაჭრებმა ძმებმა მიხეილ და ლუკა ივანეს ძე ქავჟანიძეებმა შვიდ კანდელიანი შანდალი ღირებული ექვს თუმნად. დიდ მადლობას ვუცხადებთ წინამძღვარი და მთელი კრებული მონასტრისა ამ გვარ უხვ შეწირვისათვის.

წინამძღვარი მათხონჯის წ.-დ ნინოს მონასტრისა **ანასტასია.**

ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ თ. მიხეილ როსტომის ძე თავდგირიძეს, რომელმაც უფასოდ დაგვითმო სკოლისათვის თავისი სახლი აკეთის მაცხოვრის სამრევლო სკოლის შენობის გაკეთებამდე და [illegible] სკოლას შემოსწირა ფულად ერთი მანეთი.

აგრეთვე მადლობას ვსწირავთ ყველას, ვინც სკოლის საქმეებში დახმარება გაგვიწია.

მასწავლებელი **აპოლონ ჯიბუტი.**

ვთხოვ პატივცემულ „სახალხო გაზეთის“-ს რედაქციას ეს წერილი დაბეჭდოს თავის გაზეთის მახლობელ ნომერში საპასუხოდ „მეთვალყურისა“, რომლის კორესპონდენციაც მოთავსებულია თქვენი გაზეთის № 1053.

სამი წლის წინ მე მიმანდო „ხალხმა“ საბურთალოზე მეყიდნა მისთვის ადგილი სასაფლაოსთვის და მომცა დამხმარეთ გ. ტარიელაშვილი. მე ვიყიდე თ. გრ. დიასამიძის ობლის ელენეს ადგილი (საწინდაწინო პირობა ჩემთანაა) და სამი წლის განმავლობაში კარი-კარ დავდიოდი ფულის თავის მოსაყრელად. ზოგი მეუბნებოდა დიდომში მაქვს სასაფლაოო, ზოგი კუკიაში და სხვ. და მეტის სიარულით მოვიქანცე. შეგროვდა ამ ორი წლის წინ შვიდი თუმანი და რაღაც მეტი. ეს ფული გადავეცით მამულის პატრონს და მისგან ფულების ბედ შემომტანთა სახელზე ვიყადეთ სასაფლაოდ ადგილები. ვინც მაშინ ფული შემოიტანა ამ „ხალხთა“-გან ყველამ სასაფლაოც მიიღო და სამოსახლოც იმ ფასებში, რა ფასებშიაც ვიყიდეთ, ადგილები (ამის ნაყიდობის ქაღალდიცაა). **სევასტი მ. გაჩეჩილაძე.**

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ ნება მიბოძოთ მადლობა მოვახსენო თქვენის გაზეთის საშუალებით ნიკოლოზ ივანეს ძეს ბ. ვაჟიკაშვილს, ტფილისში ღვინით მოვაჭრეს, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულს ს. გურჯაანის სამრევლო სკოლას შემოსწირა სასკოლო საანგარიშო ჩოთქი, ღირებული 8 მან. და 50 კაპ.

გამგე ს. გურჯაანის საეკ.-სამრევლო სკოლისა მღ. **ი. ახალშენიშვილი.**

რადგანაც ჩემდამო რწმუნებული მეტეხის ციხის ბიბლიოთეკა მეტად ღარიბია წიგნებით, პატიმართა დავალებით ვთხოვ საზოგადოებას, ნუ დაიშურებენ ქართულ წიგნების შემოწირვას.

შემოწირულება გამოიგზავნება ჩემთან. მეტეხის ციხე.

მეტეხის ბიბლიოთეკის გამგე მღ. **მიხეილ დევიძე.**

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

მატარებელთა მიმოსვლა

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადმზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

ბათომისაკენ: № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

ბორჯომისაკენ: № 17, **საბ.** დილ. 8 ს. 2 წ. № 19, **საბგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

ჯულფისაკენ: **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 30 წ.

ყარსისკენ: **საბ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

ერევანისკენ: № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

ბათომიდან: № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

ჯულფიდან № 4/3 საფოსტო 7 საათსა და 25 წუთსა საღამოთი.

ერევნიდან № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

ქალაქის საავადმყოფოები

[illegible]—პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.

ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.

კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველი თავ-თავის უბანში), თუ უბრალო [illegible] დილის 11 საათამდე მოიწვევს, ვალდებული არიან დღესვე ინახულონ ავადმყოფი, [illegible] შემთხვევებისა, როცა დახმარება გადაუდებლივ უნდა მისცეს.

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა

გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო საკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“ და „914“

11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.

ბ. ა. **ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. **ტატახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. **ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. **ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. **მუღნინი:** 10—11 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. **ტერ-ოსიპიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ს. მ. **კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი ავადმყ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
ა. ლ. **გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოთი 6—7 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. **ტერ-ოსიპიანცი:** 6—7 საათ. რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

საკურნალოს დირექტორი, მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანცი.
1004

ექიმი ქალი ნინო რცხილაძე
გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.
იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

მარმარილო-მოზაიკისა, ხელოვნება-ქანდაკების და
ძეგლების
დამზადებელი სახელოსნო
ნ. რიცცისა,
ტფილისი. ელისაბედის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 158, ტელეფ. 16—38.
ვიკვეთავთ ზემო-აღნიშნულ სამუშაოს და ვამზადებთ **მარმარილოსა** და **ბრინჯაოს ფიგურებს,** ბიუსტებს, ბარელიეფებს, რასაც უსაწინდროდ ვასრულებთ. **გვაქვს დიდ-ძალი რჩეული** გამზადებული ძეგლები: მარმარილოსი, ლაბრადორისა და სხვა ქვისა. 1613

ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი
საბუღალტრო კურსები
(საღამოსი),
რ. ზ. რომანოვისა,
(1908 წ. დაარსებული).
ტფილისი, ჩერქეზიშვილის (ავჭალის) ქუჩა № 47, ტრამვაის სადგურთან, მე-3 სამოსამართლო განყოფილების მახლობლად.
კურსი 5 თვიანია, ყოველ-დღიური მეცადინეობით.
სწავლა იწყება 1914 წ. 2 იანვრიდან.

ამზადებენ **ორივე სქესის** პირთ სავაჭრო-სამრეწველო და საფინანსო დაწესებულებაში თანამდებობის მისაღებად და აძლევენ **სპეციალურ საკომერციო ცოდნას** საბუღალტრო და სხვა საკომერციო მეცნიერებიდან.

პრაქტიკული მუშაობა ბუღალტერიისა და კორესპონდენც. სწარმოებს კურსებთან მოწყობილ სპეციალურ კანტორაში, **სატახტო ქალაქების კურსების მიხედვით, თვალსაჩინო წესით,** მასალა აღებულია ცხოვრების სინამდვილიდან (**სავაჭრ. დოკუმენტ. და სხვა ფორმ.**), და სავალდებულოა აწარმ. ანგარიშები ერთ-თვიან რთულ წარმოებათა, როგორც საზოგადოდ სავაჭრო ბანკის ანგარიშებისა სავალდებულო საგნები: 1. ა) ბუღალტერია, უბრალო, იტალიური (ორმაგი), გერმ., ამერიკ., ფრანგ., ინგლის. კამერალ. და რუს. (სამმაგი) (პრაქტ. მუშაობით ყოველ სისტემაში). ბ) **ანგარიში:** საზოგადო სავაჭრ. საქარხ. ბანკის შემნ. გამს. და საკრ. ამხ. ნავთ-მრეწვ. და დაზღვევისა. ანგარიშის წარმოება კარტ. სისტ. 2) კომერც. არითმ. 3) **სავაჭრო უფლება.** 4) თამასუქ. უფ. 5) კომ. კორეს. (თეორია და პრაქტ.), 6) არითმ. საანგ. ჩოთქზე, (კომერც. და მათემ. გამოანგარიშ. ახალ და უადვ. საშუალებით), 7) კალიგრაფია (უხეირო ხელის გასწორება), არა სავალ. საგ. 8) **პოლიტ.-ეკონომ.,** 9) **სტენოგრაფია,** 10) საწერ მანქანაზე წერვა, 11) რუსული ენა, 12) არითმეტიკა. მასწავლებლებად სპეციალისტები არიან მოწვეულნი უმაღლესი (უნივერსიტეტის) სწავლით. მსმენელ ქალ-ვაჟთა მიღება სწარმოებს **ყოველ დღე** კურსების კანცელ. დილის 10—3 ს.-დე და საღამოს 5—8 ს.-დე. კურსების წესდება და პროგრამა **უფასოდ** იგზავნება. 1615

გამოსულია და იყიდება
ნ. შიუკაშვილის
პიესა „მეგობრობა“, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

Верійская парная баня
ვისაც გსურთ ბანაობა, მობრძანდით და იბანეთ
ზ. ი. აბრამაშვილის
აბანოში
ევროპიულად მორთულ ორთქლის აბანოში
ვერის დაღმართზე, (Верійскій спускъ, № 7),
ქალაქის შუა ადგილას, საიდანაც ტრამვაის საშუალებით ყველა დაწესებულებას ადვილად და იაფად მისწვდებით.
ჰყავს ქართველი და სპარსელი გამოცდილი მექისეები.
განათებულია ელექტრონით.
ღია არის დილის 6 ს.-დან ღამის 12 ს.-დე, ხოლო კვირაობით—დილის 6 საათიდან ნაშუადღევ. 2 საათამდე.
საერთო ნომრები ცალ-ცალკე ქალებისათვის და კაცებისათვის 20 კ. **ცივი** და **ცხელი დუში** სთავად-აზნაურო საერთოში 40 კაპ., ხოლო მოსწავლეებისათვის 30 კ. **ვანები** აბონემენტები (გრადუსით) 30 კაპ. ნომრების ფასი 60 კ. 1—50 კ. გვყავს პარიკ-მახერი კვირა დღითაც საათის ორამდინ. 1602

მარმარილო-მოზაიკის სახელოსნო
ბ. პ. ვილლი-სა.
მიხეილის პროსპ. № 63. ტელ. 620. მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ.
ყოველგვარ შეკვეთას ვღებულობთ,
მარმარილოს, ქვისა და მოზაიკის სამუშაოსას; აგრეთვე გვაქვს დიდ-ძალი დამზადებული ძეგლები ნაირ-ნაირ მასალისა. 1614.

მუდამ დღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეველოვები.
პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.

ახალ-ახალი
მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
აგრეთვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა
კოლოფით შიტკა და ხმელი სოკო. აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში მარტის ლოში, იანი
ჭიპა, ზურგიელები და სხვა ყოველ
ნაირი თევზეულობა და
კონსერვები.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ ძუხრანის ქუჩა.